

სახალხო ფურცელი

საბჭოთაო
საქართველო

სურათიანი ჟამბიჯი

გაზეთის № 1

ლაშაბის № 1

კვირა, 1 ივნისი 1914 წ.

1914

VI-XII

ილიბიბოლა

— მას არ უყვარვარ? — სევდიანი ვკითხავდი ნიავს, ის უპასუხოდ ფრთათა რხევით ეშურებოდა.

— მას არ უყვარვარ? — მოჩუჩუხეს ვკითხავდი წყაროს, ისიც კამკამით ყვავილებში იკარგებოდა.

— მას არ უყვარვარ? — მთის გაცრეცილს ვკითხავდი ღრუბელს და ჩემს კითხვაზე უკვე ჩემ წინ ცვრებად დნებოდა. მხოლოდ ერთს ღამეს, მყუდრო ღამეს ორს ვარსკვლავს ვკითხე, ორს ტურფა თვალსა, ნათელ თვალს რომ ემგავსებოდა.

შუქით მანიშნეს: „ჩვენ რა ვიცით! მასთან მიდიო და ჩააცქერდი შენს მომხიბვლელს ნათელ თვალსაო! და გაგიმელავენებს, გაგიმელავენებს, რაც დაუმაღავს ვარდის ფერ ბაგით, ტკბილის ბაგით კეკლუსს ქალსაო!“

წაველ და თვალებს მიჯნურისას ღრმად ჩავაცქერდი, თან გული ჩემი ჩუმის ვენებით ვკითხებოდა:

— გიყვარვარ? არა? — და კვლავ თვალნი გიყურად რბოდნენ, ხოლო მიჯნური რა მიმიხვდა, ილიმებოდა!

სანდრო შანშიაშვილი.

უპილო ღამე

დიდხანს დაჰყურებდა სანდრო დაფიქრებული მოთბობის უკანასკნელ სტრიქონებს. ბოლოს დახურა წიგნი და მიეყრდნო სკამის ზურგს, მაგრამ თვალები კი მაინც დახურული წიგნისკენ დარჩა. ეტყობოდა წაკითხულს ღრმა შთაბეჭდილება მოეხდინა მასზე...

„ნაუ“... დარეკა საათმა საღაც შორს. სანდრო გამოერკვა დაირეკა მეორეთ, მესამეთ... სანდრო ითვლიდა თავის ქნევით.

საათმა თორმეტი დაჰკრა.

წამოდგა მთქნარებით ზეზე, მძიმედ გაიარა ოთახში, გამოალო კარი და აივანზე გავიდა.

მთვარიანი ღამე იყო. გრილოდა. ჰაერში მოახლოვებული ზანთორის სუნი ტრიალებდა... ყველა მეზობლებს ეძინა.

რამოდენიმე წუთი დაჰყო გარედ, შემდეგ შემობრუნდა ოთახში გაიხადა და დაწვა. საბანში გახვეული წამოჯდა საწოლზე, ორივე იდაყვით მაგიდას დაეყრდნო და მაჩერდა გაბღლილებულ ღამფას. ერთ ხანს უმზირა. მერე, თითქოს რაღაც მოაგონდაო, წარბები შეუთამამდნენ, გაიღიმა. გადუწოდა ხელი მაგიდის უჯრას, გამოსწია და მის უკანა კუთხიდან თეთრ აბრეშუმის ცხვირსახოცში გახვეული რაღაც ნივთი ამოიღო. დასდო მაგიდაზე და დაუწყო მოწიწებით ცხვირსახოცს შლა. მასში აღმოჩნდა ახალგაზდა ქალის ფოტოგრაფიული სურათი. სანდრომ აიღო სურათი ხელში და დააცქერდა ზედ ნეტარის ღიმილით. დიდხანს დასჩერებოდა ასე. მერე ღამფასს მიუახლოვა, თვითონ უკან გადისხარა და გახედა შორიდან: აქაც ნასიამოვნები დარჩა. შემდეგ აიღო ცხვირსახოცი, გადაუსვა ზედ ნელა, სათუთათ, თითქოს ეშინია არა ატკინოს რაო, და დააშტერდა ისევ. სურათის ბოლოზე ძალიან წვრილი ასოებით წარწერილი იყო ორი სიტყვა. სანდრომ იცოდა რაც ეწერა, მაგრამ მაინც, ვითომ და დიდის ძალდატანებით, ამოიკითხა: „შენი ელენე“. — „ჩემი ელენე! ჩემი... შემოგველე!“ და მიიკრა სურათი ტუჩებზე.

მერე ისევ სინჯვა დაუწყო. ატრიალებდა ხან წაღმა, ხან უკულმა, ხან გახედავდა გვერდზე ცალი თვალით, ხან ორივე თვალს მილულავდა და მისჩერებოდა პირდაპირ, თან სიხარულით ილიმებოდა.



უან-დარკი. — ქანდაკება.

ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ ელენე მშვენიერია რა მხრითაც უნდა გახედოს, მიაყუდა სურათი წიგნზე, დაუწია ღამფასს და გაეხვია საბანში.

ძილი არ ეკარება სანდროს. ის ბრუნავს ხან აქეთ, ხან იქეთ, მაგრამ უარესი მოსდის: ამით უფრო ემატება სიფხიზლე. რომ ფიქრობდეს რამეზე, კიდევ ჰო, მაგრამ არა, რაღაც უაზრო სურათები ეხატება თვალწინ და მეტი არაფერი. იმისი თავი თითქოს პაწაწინა აუზათ გადაიქცა, სადაც აზრების ნაცვლად ერთი ბეწვა თევზები დაცურავენ და ოქროში დაფერილი თავებით ერთმანეთს ეჭიდებიან. სანდროს გაახსენდა ვილკას ნათქვამი: ძილი თუ გაგიტყუეს, დათვალე და ჩაგეძინებო, მოსდგა თვალს. ითვლის ჯერ ჩქარა, შეუშლელად, მერე ჰგრძნობს, რომ რაღაც გამოურკვეველი ბურუსი ეხვევა გარს. თვალები ეხუჭება, ჩასთვლენა... „ას სამოცდა ათი, ას სამოცდა თერთმეტი... ას სამოცდა თექვსმეტი... ას სამოცდა ცხრა...“ სანდრომ შეამჩნია, როგორ აურ-დაურია და გაეცინა. დიდის სიფრთხილით მოტყუებული ძილი ისევ დასძვრა ხელიდან. — „დასწყევლოს ღმერთმა! უქმე მაინც იყოს ხვალ!“ გაჯავრდა სანდრო და დახუჭა ისევ თვალი. განუჭკერტელი წყვილიდი აეტუზა წინ, თითქოს ვეებერთელა შავი ატლასი გაჰკიდეს მის წინ ბაწარზე. ყვითელი ზოლები წითელი ნაპერწკლები, პებლები არე-დარევიტ დაცურავენ შიგ. სანდრომ გააქნია თავი. წყვილიდი გაიბო შუა და, როგორც დარცხვე-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ნილი ქურდი, მიიმალა სადღაც. მტრედის ფერი განთიადი წარსდგა წინ მის ნაცვლად. გამოჩნდნენ ქალაქის ქუჩები, გძელი, მტერიანი ქუჩები; დიდრონი შავი ხენები მიიზღაზნებინან ზედ და ძლივს მიათრევენ დატვირთულ ურმებს. ეტლები, ადამიანები, ძაღლები ირევიან ერთმანეთში, აი აგერ ხიდის ყურზე გაჩერებულა ძონძებში გახვეული მათხოვარი და მოწიწებით აწვდის ხელს გამვლელ-გამომვლელს; სანდრო ყოველ დღე ჰხედავს მას აქ, და ეხლა იმის ყურებამდელი თითქოს აღწევს ნაცნობი ხმა მათხოვრისა: „შეგწვიოთ უფალი იესო ქრისტე, მომხედეთ გლახას...“ აგერ ერთი მოსახვევიც და გამოჩნდა მათი გიმნაზია, დიდი, ლამაზი შენობა. კიბეებზე საჩქაროდ აღის მაღალი, ბეჭებში მოხრილი კაცი. „შეჩვენებული „ბოპრე“, გაიფიქრა სანდრომ. „ბოპრეს“ ეძახდნენ მოწაფეები ფრანგული ენის მასწავლებელს, თუმცა მას არაფერი ჰქონდა საერთო იმ პუშკინის ბოპრესთან, რომლის სახელითაც ის მონათლეს. სანდროს არ უყვარდა „ბოპრე“, მაგრამ არც ისა რჩებოდა ვალში: გუშინ რომ მოწაფეებმა საკლასო ყურნალი ჩაიგდეს ხელში, სანდრომ თავის გვარის გასწვრივ ისეთი ლამაზი, ისეთი შნოიანი ორიანი დაინახა, რომ, თუ არ „ბოპრე“ იმას ვერ დასწერდა ვერც ერთი გიმნაზიის მასწავლებელი.

გიმნაზია, თითქოს სქელი ნისლისაგან იყო აშენებული, მიიშალ-მოიშალა, აინგრ-დაინგრა, და ეს დიდი შენობა ცოტა ხნის შემდეგ პატარა ლამაზად მორთულ ოთახად გადაიქცა. ახალგაზდა ქალი გაჩერებულა დიდი სარკის წინ და თმას ივარცხნის; ზურგი სანდროსკენა აქვს შექცეული, მაგრამ კარგად მოსჩანს სარკეში აღბეჭდილი მისი სახე. სანდრომ იცნო ელენე, სიხარულით დაუწყო მას გულმა ძვერა, მისჩერებია: ელენე ხალვათად არის ჩაცმული, ეტყობა ეხლა ამდგარა. ამას ჰმოწმობს კუთხეში მდგომი მიულაგებელი საწოლიც; ვარდისფერი საბანი მიკეცილია ცალ მხარეზე, თოვლივით თეთრი ზეწარი გადმოცურებულა და ნაქსოვი არმიის ბოლო ოდნავ ეხება იატაკს, ბალიში ჩარღმავებულია შუაგულზე... „იქ იწვა ელენე, ემ ბალიშზე იდგა იმისი თავი!“ გაიფიქრა სანდრომ და თითქოს დაინახა კიდევ ბალიშის პირზე ობობას ძაფივით წვრილი ორი ღერი შავი ბალანი... მერე ისევ ელენეზე გადიტანა თვალი. პატარა შიშველი ფეხები წითელ ხავერდის ქოშებში აქვს ელენეს წადგმული. სარკეში მოსჩანს მისი სახე, მთელი ტანი. პირი უცინის მას, ლოყებზე ვარდის ფერი გადაჰკვრია; შავი თმა უფარგლავს თეთრ შუბლს, სულიერი სისპეტაკე ნაპერწკლებად გადმოსცივის თვალებიდან... გულისპირი გახსნილი აქვს, ყელზე ჩამოკიდებული ოქროს ჯვარი ყვითლად ბრწყვიალობს იმის მშვენიერ მკერდზე; ორი აკოკრებული ძუძუ—ორი პატარა სებისკვერი—მორცხვად და თანაც ეშმაკურის ღიმილით უტკერის სანდროს...

ნელა, როგორც საათის ისარი, ბრუნდება ელენე სანდროსკენ... სანდრო ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ არ ჩაეშალოს მომჯადოებელი სურათი, მაგრამ ცდა ტყუილად მისდის: ელენე იცვლება თანდათან, როგორც იცვლება ხოლმე ღრუბლის მოხაზულობა მტრედის ფერ ცაზე. ეხლა ის თითქმის პირდაპირ მისჩერებია სანდროს, მაგრამ მშვენიერი ელენესი მას აღარა სცხია რა: იმის ნაცვლად იქ სდგას სქელი, მაღალი ქალი, ლოყა წითელი, მსუქან წარბებიანი... ტან-საცმელის მაგიერ გარს ახვევია მას გამსჭვირვალე, ლეჩაქი რომლის ცალი ყური გადაგდებული აქვს მარცხენა მხარზე. ქალმა მოჰკიდა ხელი ამ ყურს, საიდუმლოებით წამოსწავდა წინ კისერი და იმავე სიბრთხილით, როგორაც ბრუნდებოდა ის სანდროსკენ, დაიწყო ლეჩაქის შემოცლა გარშემო. აი გამოჩნდა მისი სქელი, განიერი, ბეჭები, მაღალი გულმკერდი, ძუძუები... მერე უცებ გააქნია ხელი, თითქოს ბადე გაისროლა: ლეჩაქი ბუმბულივით დაეშვა ძირს... დიდი, თბილი სხეული უახლოვდება სანდროს და თვალებით რალაცას ანიშნებს... სანდრო შეკრთა, ნაცნობმა ჟრუანტელმა დაუარა მას ტანში, მშვიდი გველის წიწილებივით ასისინდნენ მთელი მისი ძარღვები. სანდრო ჯერლა შეძრწუნდა, მერე გაბრაზდა, ხელები მოკუმშა, თითქოს მოსისხლე მტერს შეეფეთა წინ... „არასოდეს, არასოდეს!“ წაილაპარაკა კბილების კრაქუნით და გადაჰკრა საბანს ხელი. ლამფას აუწვია. ის სულ ერთიანად გაფითრებულიყო, ხელები უკანკალბდა. წამოავლო სურათს ხელი და ისეთის დაკვირვებით დააცქერდა ზედ, თითქოს ბინძურ ხელს ოდნავ შესამჩნევი წერტილი დაუსვამს ზედ და ეხლა ის ცდილობს მის აღმოჩენას... „ვფიცავ შენს თავს, ჩემს სიყვარულს, რომ მე არასოდეს... არასოდეს...“ დასჩურჩულებდა სანდრო სურათს...

ნაუ... ნაუ... დაჰკრა საათმა ორი.

სანდრო დამშვიდდა, მოათავსა სურათი თავის ადგილზე, დაუწვია ლამფას და დაწვა.

გამოუთქმელმა სიხარულმა შეიპყრო სანდრო. ახალი, ნათელი იმედებით ევსება გული. მან სძლია თავის სხეულს, ორი სიტყვით ჩააქრო გულში აზვირთებული ბინძური ვნება, დათურგნა საშინელი სენი, რომელიც ამდენი ხანი სწოვს იმის სისხლს, უშხამავს მთელ სიცოცხლეს. „დღის შემდეგ—ფიქრობს სანდრო—მე ვსწყვეტ ყოველივე კავშირს ჩემ სამარცხვინო წარსულთან. სინანულის ცრემლებით გავბან ჩემს სულს, ჩემგანვე გასვრილს, ჩემგანვე გალანძლულს!.. ნეტავი ეხლა ჩამსვა იორდანეში, რომ მისი წმინდა წყლით ჩამოვბანო ჩემს პიროვნების მთელი ტალახი და სიბინძურე წარსული წლები! ნეტავი ხელ-ახლა მომნათლა, ხელ-ახლა დამცხო მირონი შუბლზე, ხელის გულელებზე!.. ჰო მე ვიხამ ამას! მე მოვინათლები ხელმეორეთ! ცისკრის სხივივით განწმენდილი წარვსდგები ელენეს წინ თამამათ, უშიშრად... მისი ნათელი თვალები ვეღარ დამალდებიან თავს, ვეღარ გამაწითლებს... ვეღარ!.. ეებს!..“

სიხარულით ცასა სწვდება სანდრო. თვალე-დახუჭული ოცნებას ეძღვევა. ცდილობს წარმოიდგინოს ელენე, თავის საყვარელი, უმანკო ელენე! მაგრამ ვერ ახერხებს; თვალეში ეჩხირება ვილაცა კაცი შავ ტანისამოსიანი, ჭუჭყიანი საყელოთი; ის მიუახლოვდება სანდროს გესლიანი ღიმილით და ყურებში წასჩურჩულებს: „გუშინ?.. გუშინწინ?..“ მერე უკან ბრუნდება, ტუჩებზე ხელს იჭერს სიცილის შესაკავებლად და მიდის ფეხ აკრებით: რამოდენიმე ნაბიჯს რომ გადასდგამს, მოიხედავს, მოიხედავს ისევ, გადინახარებს გულიანათ და გადნება წყვილიაღში...

თოფნაკრავი ფრინველივით ეშვება ძირს სანდროს აღფრთოვანება. „გუშინ?.. გუშინწინ?..“ იმეორებს სანდრო, და აგონდება მას გუშინდელი, გუშინწინდელი ღამე და მთელი რიგი სხვა ღამეებისა. ყოველთვის ერთი და იგივე ისტორია, ერთი და იგივე უნაყოფო ბრძოლა: ფიცი, აღთქმა, ვედრება და ბოლოს...

ნაღვლიანი ფიქრები მოსდის სანდროს თავში...

იმას მოაგონდა თავისი მეგობარი ილიკო, ამ ერთი კვირის წინეთ რომ მოკვდა. რა საძაგელი ამინდი იყო იმის დამარხვაზე: წვიმა, ქარი, ტალახი... სასაფლაოს ისეთი შეხედულება ჰქონდა, როგორც მას შეჰფერის. აქა-იქ გაბნეული ნაცრის ფერი ლოდები თითქოს შენს გულზე ეწყვენ და არა მიწაზე... ახლად ამოთხრილ სამარის პირზე იდგა თეთრი კუბო; შიგ იდგა ილიკო დამქნარი, გაყვითლებული... რა მწარეთ სტიროდნენ მისი დედ-მამა. დები, თვითონ სანდროც!.. „ბოპრეც“ იქვე იდგა გულზელ დაკრეფილი, მწუხარე; ის კიდევ უმფრო მოხრილიყო წელში და ისეთის სახით დასჩერებოდა ილიკოს, თითქოს ეუბნებოდა: „მაპატივეთ, რომ ამას წინეთ ცუდი ნიშანი დაგისვით, მაგრამ, აბა თქვენით იფიქრეთ, რა უნდა მექნა: თქვენ სულ არ იცოდით გაკვეთილი... მაპატივეთ...“ დამარხეს, გამობრუნდნენ უკან. ყველა სახლისკენ მიეშურება, ყველანი ერიდებიან ტალახს, იკრუნხებიან პალტოებში, ოცნებობენ ცეცხლზე, თბილ ბინაზე და სიამოვნებით ხელებს ისრესენ, რადგანაც მალე ოცნება სინამდვილეთ გადაექცევათ. ვილაცამ გააქნია ფეხი მოდებული ტალახის შემოსაცლელათ და სულ ერთიანად გაუსვარა ახალი პალტო სანდროს. სანდრო გაჯავრდა. და დამნაშავემ მოიხედა უკან, „უკაცრავათო“ წაილაპარაკა და განაგრძო გზა.

სანდრო იხატავდა ერთი მეორეზე უმფრო უსიამოვნო სურათებს. რაც უმფრო გესლიანი აზრები ებადებოდა თავში, მით უმფრო სტკებოდა ის. იმას უხაროდა, რომ ყოველივე ეს სწორედ ასეა და არა სხვაფრივ, რომ არაფერში აზრი არ არის, ყველაფერი გაივლის, გაქრება. აი ის თვითონ ეხლა აქა წევს, ფიქრობს, გრძნობს, მაგრამ გაივლის სულ ბევრი-ბევრი რამოდენიმე ათიოდე წელი და ის ისე გაქრება, თითქოს ის აქ არასოდეს წოლილა, არაფერი უფიქრნია, არა უგრძენია რა. ასი წლის შემდეგ აღარავის ენახსოვრება მისი სახელიც კი!.. და სანდრომ ცოცხლად წარმოიდგინა, როგორა ზის თავის კაბინეთში მისი შვილიშვილი ასი წლის შემდეგ. ის ცოტათი სქელი, ქალარა შერეული კაცია; წარბებ შეკრული, სათვალეებით ცხვირზე მოსჯდომია საწერ მაგიდას და სწერს რალაცას, ალბათ ძალიან სერიოზულ რამეს. უცებ გაიღება კაბინეტის კარი და შემოდის შიგ მეორე ოთახიდან პატარა გიმნაზიელი, შვილი სანდროს შვილისშვილისა. სახელად ჰქვიან ამ ბავშვს კოტე. ბავშვი მიდის მამასთან, ფთხილად შეახებს ხელს და შეეკითხება ტკბილი წკრიალა ხმით:

— მამა, რა ერქვა შენს ბაბუას?

— რაში მოგაგონდა ეხლა შენ ჩემი ბაბუა?—ეკითხება პასუხის ნაცვლად მამა და თან წერას განაგრძობს.

— არა, ისე... მაინც მითხარი, რა ერქვა?

— აღარ მახსოვს, ის დიდი ხანია მოკვდა.

ინგლისის გამოჩენილი არტისტი ირვინგი სხვა და სხვა როლში.

(ირვინგი დაიბრძო წელს მაისში, დაღუპულ გემზე, კანადის ახლო).



კარდინალ რიშელიე.



შეგლობა.



ჰამლეტი.

— ძალიან დიდი ხანია?
 — ჰო.
 — მაინც რამდენი წელიწადი იქნება?
 შამა პასუხს არ აძლევს.
 — სამოცი?..

— ეჰ, შვილო, ნუ შემაწუხებ! წადი შენ შენი გაკვეთილი ისწავლე ის გირჩევნია ჩემს ბაბუას; ხვალ კიდევ ორი არ მიიღო, წადი.

კოტე ბრუნდება უკან დაღონებული, ყურებ ჩამოყრილი გაკვეთილის სასწავლად, რომ ხვალაც ორი არ მიიღოს. თავის პაპის სახელი კი ვერ გაიგო.

სწუხს სანდრო. ის გრძობს მკერდ ქვეშ საშინელ ტკივილს, თითქოს უჩინარი რკინის თითები ჰკეცილებდნენ იმის გულს, რომ გამოსწურონ იქიდან უკანასკნელი სისხლის წვეთები... „მამ ასე, — ფიქრობს სანდრო — ასე წლის შემდეგ ჩემი შვილიშვილი საჭიროდ აღარ იცნობს უთხრას ჩემი სახელი თავის შვილს! და რომ აღარ ენახსოვრება, რა უნდა უთხრას!.. ეჰ, რა სისულელეა, რა მასხრობაა...“ და დახუჭა ნელა თვალები. წყვილიაღში ამოცურდა საზიზღარი ადამიანის ჩონჩხი; კბილებ დაკრეპილი, ცხვირ მოტეხილი სდგას ის და თავის ქნევით ადასტურებს სანდროს ფიქრს, რომ ყველაფერი სისულელეა, მასხრობაა, უმნიშვნელო და მსწრაფლ წარმავალი... „სწორედ, სწორედ, — ამბობს ჩონჩხი, — აი მაგალითად მე, შემომხედე ერთი, რას ვგეგვარ? საზიზღარი ვარ არა? და მერე ასეთი ვიყავი, მე? რა იქნა ჩემი ნაზი, ბამბის ქულასავით თეთრი სხეული? სად გაჰქრენ ჩემი შავი სიცოცხლით სავსე თვალები, ჩემი მარჯნის ფერი ტუჩები, ჩემი მშვენიერი, აბრეშუმა თმა“ სად გაჰქრენ ყველა ესენი?.. მატლებმა შეშუპავენ ნესტიან სამარეში, სადაგელმა თეთრმა მატლებმა!.. აი ერთი აგერ დამლოდავს, შემომხედე ერთი, როგორ დამლოდავს, შემომხედე!.. თვალს მარიდებ? გეზიზღები? გასაკვირვალად არ არის: მე ეხლა საზიზღარი ვარ; მაგრამ ასეთი არ ვიყავი მე ყოველთვის, არა. მშვენიერი სხეული იყო აგებული ერთ დროს ამ საზიზღარ ჩონჩხზე! ოჰ, იმას არ მოარიდებდი შენ თვალს! საუცხოვო იყო ის! საუცხოვო იყო!.. გინდა გაჩვენო? ჰა? გინდა?.. აი, აი, შემომხედე! აი, აი, აი!..“ სანდრომ შეხედა: ჩონჩხის მაგიერ ტიტველი ქალი იდგა მის წინ... კარგად იცის, რითაც გათავდება ყოველივე ეს... იცის და არც ეწინააღმდეგება გრძობას, რომელიც თან და თან იპყრობს მას. რათა რა ენაღვლება? განა სულ ერთი არ არის? ასე წლის შემდეგ ხომ... ეჰ, რა თქმა უნდა, რომ სულ ერთია!..

ლამფას აუწია. წყვილიაღი შეკრთა და მიიჩქმალა კუთხეებში. გადახედა მაგიდას. იქ ყველაფერი თავის რიგზეა. სურათი ისევ წიგნზეა მიყუდებული. ის ილიმება ტკბილად, ალერსიანად და პირდაპირ სანდროს უტკერის თვალებში. სანდროს არ მოსწონს ეს გულუბრყვილო მისი ღიმილი, იმას ცოტა არ იყოს აბრაზებს კიდევ ეს ფართო

ბავშვური თვალები, ასე გულდასმით რომ უტკერიან მას... გარდა ამისა ის იმ აზრის არის, რომ ქალი, თუნდა გარყვნილებას ტადარი აუშენებოს იმის გულში, მაინც შესძლებს გამოხატოს სახეზე სრული უმანკოება, და ვინ იცის ეგები ელენეც... ჰო, ვინ იცის?

— რას მიყურებ? — შეეკითხა სანდრო ხმა მალლა სურათს. მისმა ხმამ უცნაურად გაიდუღუნა სიჩუმეში, და სანდრო თვითონვე შეკრთა; მაგრამ მალე დამშვიდდა, რადგანაც მოაგონდა, რომ ეს ყოველთვის ასე ხდება, როცა კაცი მარტოა ოთახში და ხმა მალლა იტყვის რამეს, მით უმეტეს შუადამეზზე... მოაშორა სურათს თვალი... „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“, გაიფიქრა სულ უნებურად. „რა ვუყო მე, თუ ვერ დაიჭირავს“, დაუმატა და მიაჩერდა ჭერს. დაითვალა ზედ გაკრული ლამფები და გამოუვიდა თექვსმეტი, მაგრამ, რადგანაც მას არა ერთხელ დაუთვლია ისინი, კარგად იცის, რომ თექვსმეტი კი არა ჩვიდმეტი უნდა გამოსვლოდა და, შეცდომა რომ გაისწოროს, ხელ-ახლა მოსდგა თვლას, მაგრამ დაეზარა და დაანება თავი.

თვალები დახუჭა. ის ეხლა არაფერზე არა ფიქრობს, არაფრის დარდი არა აქვს. გული კი სტკივა ცოტათი ოღონ. ცოტა შუბლზე-

დაცა ჰგრილა, თითქოს ობობას ქსელი ეფინება ზედ, მაგრამ მან კარგად იცის, როს ეს ოფელია და არა ობობას ქსელი... ერთი სიტყვით ეხლა ისე გრძობს თავს, როგორც ცუდი სიზმრის შემდეგ; თითქოს მალალი ხიდან ჩამოვარდა სიზმარში და იმ დროს, მიწაზე, რომ დაეცა, გამოელვოდა. ასეთ სიზმრებს ხშირად ჰხედავდა სანდრო ბავშვობის დროს. აი, სდგას ის, სულ პატარა ბავშვი, ვითომც სახლის თავზე და ხელს უწვდის მწიფე ქლიავს მოსაწყვეტად, მაგრამ ერთბაშად ფეხი დაუსლტება და სახლის თავიდან ძირს ვარდება. შემკრთალი, ოფელში გაწურული გამოიღვიძებდა პატარა სანდრო ასეთი სიზმრის შემდეგ და მაგრა მიეკროდა დედას მკერდზე.

- უჰ, დედა, დედა! რავარი გადმოვარდი!
- დედას გამოელვოძებდა.
- რა იყო, შვილო?
- სახლის თავზე ვიდექი, ქლიავი მინდოდა და... უჰ, უჰ!..
- გადმოვარდი?
- ჰო, ძალიან.
- დედა მიხვდება რაშიც არის საქმე და ამშვიდებს ბავშვს:
- ეგ, შვილო, იმიტომ რომ საზრდელი ხარ.
- მერე დედა?
- მერე ის, რომ იზრდები.
- ძილში?
- ჰო, ძილში.
- უჰ, ეგ კარგი ყოფილა! ხომ კარგი ყოფილა, დედა?..
- ჰო, შვილო, კარგია.
- ნეტავი კიდე გადმოვარდებოდე. გუშინ მე და ვანო დავეხოლეთ ერთმანეთს და დაიჯინა, მე უმფრო მალალი ვარო. აბა ხვალა ნახოს! ხვალ ხომ მე ვიქნები, დედა, უმფრო მალალი?... ჰა?... მიტხარი, დედა, მე ვიქნები?
- ჰო, შენ იქნები, შენ...
- ვაი თუ ისიც ჩამოვარდეს ამალამ... მარა ამას სულ ბაყაყები ესიზმრება, თურმე. ბაყაყებმა ხომ არ იცის, დედა, გაზდა?
- არ იცის. გეყოფა ეხლა, დაიძინე თვარა...
- რა თვარა?
- არაფერი, არა, დაიძინე.

სანდრომ ჩაყო თავი დედის ძუძუებში და მოემზადა დასაძინებლად, მაგრამ ერთი საჭირობოტო საკითხი კიდე დაიბადა იმის

პაწაწინა თავში და, თვითონ რომ ვერაფერი გააწყო, მიმართა ისევ დედას:


- დედა.
- რა იყო?
- ნეტავი ბაყაყებს ნაჯახები თუ აქვს?
- სულელი! ვინ მისცათ ბაყაყებს ნაჯახები?
- არც წალდები?
- არც წალდები.
- აბა შეშას რითი სჩენენ?... ვანომ მითხრა, ზამთარში დაანთებენ ბუხარში ცეცხლსო, მოუჯდებიანო და მერე ბებერი ბაყაყები დაიწყებენ ზღაპრების მოყოლასო... მართლა?
- ტყუილი, მოუტყუებხარ.
- იჰ, მოუფუტყუებხარ რა! ის მომატყუებს თუ?.. დღეს კიდე, მართლა, ქორმა რომ ჩვენი ქათამი მოიტაცა, კალოზე ვიდექით და მითხრა, ეს ქორი ეხლა წაიღებს ამ ქათამს შორს ტყეშიო, აი პატარა სახლი აქვსო და, რომ მიიტანს ქათამს, გამოეგებება თავის ცოლიო, გამოართმევსო და... მერე... ის ბეჩა, რა ჰქვია..
- თუ არ და იძინე ეხლავე გარეთ გაგსვამ! უჯავრდება დედა ბავშვს.

სანდრო ხმას იკმენდს და შეშინებული ეკვრება დედას გულზე. ოქროს ზოლივით მისცურავს მოგონება სანდროს მეხსიერებაში. ის წევს გულაღმა თვალზე დახუჭვილი და მოგონებებში გართული თან და თან უახლოვდება სიფხიზლის საზღვარს. აი, კიდეც ჩასთვლენა, მიეძინა... მოგონება სიზმრად გადაექცა. ის წევს, ვითომც ეხლა დედასთან, დიდი, ოცი წლის კაცი; ეკვრება გულზე და შესტირის: „დედა, დედა! გადმოვარდი, დავეცი... ოჰ, რავარი დავეცი, რომ იცოდე!.. დედა!..“ ეხვევა, ჰკოცნის და თან ცრემლებითა ჰბანს ძუძუებს...


ორი ცრემლი იბადება სანდროს თვალებში. ისინი ნელ-ნელა იზრდებიან და ბრწყინავენ ლამფის შუქზე.
ნაუ... ნაუ... ნაუ... ნაუ.
ერთი ცრემლი შეთრთოლდა, ჩამოსრიალდა ლოყაზე და დააკვდა ბალიშს. მერე უკან გაედევნა, მაგრამ ვერ მიაგნო და მიიკარგა სადღაც...
კ. ჰიკინაძე.



სახალკლუბში



სამკითხველო.



ბანქოს სათამაშო ოთახი.